მხოლოდ სტატისტიკოსთათვის

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 25 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (კიევი) - 2:0 (0:0).

თბილისი: ჩლაიძე, ბუძიშვილი, ჩიტაური, ქორიძე, ჭოხონელიძე, მაჩაიძე, ესებუა, მაღრაძე (მჭედლიშვილი), ღოღობერიძე, ბურჯანაძე, ქარქაშაძე.

კიევი: საბეცკი, კრავჩუკი, დენეჟი, გოროზა, ბელოუსოვი, ზელენსკი (ზუევი), პავლოცკი (მუკომოლოვი), პავლენკო, სუგირეი, ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი: ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

გავა წლები და რომელიმე სტატისტიკოსს დასჭირდება თბილისისა და კიევის დინამოელთა 1969 წლის ჩემპიონატის მეორე წრის მატჩის დეტალები. ჩაიხედავს მატჩის ოქმში და თვალებს არ დაუჯერებს - ალბათ, დუბლიორთა შეხვედრის ოქმი მომხვდაო ხელთ.

მაგრამ სხვა ოქმს იგი ვერ იპოვის. მოხდა ისე, რომ სსრ კავშირის XXXI ჩემპიონატის ბოლო მატჩი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელ გუნდებს შორის ვერ ჩატარდა შესაფერის დონეზე. მიზეზი? ისევ კალენდრის უწესივრობა. 26 ნოემბერს კიეველებს უაღრესად საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ ფლორენციაში და ბუნებრივია, ძირითადი შემადგენლობა იქ იყო მივლინებული. შეიძლებოდა თამაში გუნდის დაბრუნების შემდეგ, რახან თბილისში ასეთი კარგი ამინდებია, მაგრამ იმ დროისთვის უკვე მასპინძლები აღარ იქნებოდნენ შინ (ტურნე არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და იტალიაში). ამიტომ კიეველებს თბილისში ახალგაზრდული შემადგენლობის გამოგზავნის გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდათ. გასაგებია, რომ თბილისელებმა კოლეგიალობა გამოიჩინეს და თვითონაც დუბლიორთა შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე.

ერთი სიტყვით, რამდენადაც გვახსოვს, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ორივე გუნდმა სათადარიგო შემადგენლობით ითამაშა. მაგრამ შეცდა ის, ვინც ამ დღეს სტადიონზე არ მივიდა. ეს იყო ძალიან საინტერესო, დაძაბული ბრძოლით აღსავსე შეხვედრა, რომელმაც მაყურებელს კმაყოფილება მოჰგვარა.

მასპინძლებმა თავიდანვე აიღეს ხელთ ინიციატივა და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან. მეკარე საბეცკის მოსვენება არა ჰქონდა. საუკეთესო შესაძლებლობანი გაუშვეს ხელიდან ღოღობერიძემ, ბურჯანაძემ, მაღრაძემ.

ანგარიში გაიხსნა მხოლოდ 65-ე წუთზე. ღოღობერიძის ზუსტი გადაცემა კარგად გამოიყენა მჭედლიშვილმა და თავით გაიტანა ბურთი ახლოდან. მატჩის დასასრულს ქარქაშაძე სწრაფად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, ბურთი კარის წინ ღიად დარჩენილ ღოღობერიძეს ჩააწოდა, ამ უკანასკნელმა კი საუცხოო, შეუჩერებელი დარტყმით ბურთი კიეველთა კარში გაგზავნა.

მატჩის შემდეგ გუნდების კაპიტნებმა დაუშვეს XXXI ჩემპიონატის ალამი.

რ. ქორიძე

“ლელო”, 27 ნოემბერი, 1969 წ.